სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

13 **აგვისტო, 2025 წ.**

ბრძანება № 01-08/496

75 კრედიტზე მეტი აკადემიური დავალიანების მქონე ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ

ბსუ-ს ფაკულტეტების დეკანების სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე გამოიცა ,,ბსუ-ს იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომლებმაც 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 06 აგვისტოს №01-08/484 ბრძანება, რომელიც დაეგზავნა შესაბამის სტუდენტებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიზნით.

ბსუ-ს წესდების 66-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვისთანავე სტუდენტს უწყდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, გამონაკლისი შეიძლება დაიშვას აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-9 მუხლის 9.2 პუნქტის თანახმად, ,,თუ სტუდენტმა ვერ შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები ოპტიმალურ ვადაში (საბაკალავრო პროგრამაზე - 8 სემესტრი; ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამაზე - 10 სემესტრი; ,,სტომატოლოგიის" ერთსაფეხურიან პროგრამაზე - 10 სემესტრი; ,,მედიცინის"/,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიან პროგრამაზე - 12 სემესტრი; სამაგისტრო პროგრამაზე - 4 სემესტრი), მის მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოსაცემად იწყება ადმინისტრაციული წარმოება. სტუდენტს, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნების შესასრულებლად დარჩენილი აქვს ასათვისებელი 75 კრედიტზე მეტი, უწყდება სტუდენტის სტატუსი.

ზემოაღნიშნული წესისა და ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 06 აგვისტოს №01-08/484 ბრძანების საფუძველზე კანონშესაბამისია ამ ბრძანების №1 დანართში აღნიშნულ სტუდენტებს, რომელთაც 2024–2025 სასწავლო წლის ბოლოს ვერ შეასრულეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები და დარჩენილი აქვთ ასათვისებელი 75 კრედიტზე მეტი, შეუწყდეთ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის

მარეგულირებელი წესის“, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 01 აგვისტოს MES 3 25 0000940314, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 06 აგვისტოს MES 9 25 0000954397, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 29 ივლისის MES 1 25 0000925102 და 2025 წლის 29 ივლისის MES 7 25 0000924640, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 01 აგვისტოს MES 0 25 0000942832 და 2025 წლის 05 აგვისტოს MES 6 25 0000953322, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 25 ივლისის MES 3 25 0000916212, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 31 ივლისის MES 0 25 0000935911, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 01 აგვისტოს MES 5 25 0000943052 სამსახურებრივი ბარათების, ,,ბსუ-ს იმ სტუდენტთათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომლებმაც 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები'' ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 06 აგვისტოს №01-08/484 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. შეუწყდეს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი იმ სტუდენტებს (**დანართი №1**), რომელთაც 2024–2025 სასწავლო წლის ბოლოს ვერ შეასრულეს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, დარჩენილი აქვთ ასათვისებელი 75 კრედიტზე მეტი.
2. ბრძანება აისახოს უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. განემარტოს სტატუსშეწყვეტილ სტუდენტებს უმოკლეს ვადაში დაფარონ წინამდებარე ბრძანების გამოცემის დროისათვის მათზე რიცხული სწავლის საფასურის დავალიანება.
4. ბრძანება სტუდენტური პორტალის მეშვეობით დაეგზავნოს სტუდენტებს (სხვა სტუდენტის პერსონალური მონაცემების დაცვით) და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
5. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და შესაბამის ფაკულტეტებს.
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**

,,75 კრედიტზე მეტი აკადემიური დავალიანების მქონე ბსუ-ს ზოგიერთი სტუდენტისათვის ბსუ–ს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 13 აგვისტოს №01-08/496 ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს სტუდენტები, რომლებმაც 2024–2025 სასწავლო წლის ბოლოს ვერ შეასრულეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნები - აქვთ **75 კრედიტზე მეტი აკადემიური დავალიანება** და შეუწყდათ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი, მათ შორის:

1. ტურიზმის ფაკულტეტზე - 1 სტუდენტი;
2. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე - 3 სტუდენტი;
3. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე - 1 სტუდენტი;
4. იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 2 სტუდენტი;
5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე -1 სტუდენტი;
6. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - 7 სტუდენტი.

ტურიზმის ფაკულტეტი

№	ტურიზმის ფაკულტეტის **სტუდენტის გვარი, სახელი**	**პირადი ნომერი**	**საგანმანთლებლო პროგრამა**	**უმაღლესი განათლების საფეხური**	**დარჩენილი ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**
1.	ჩხიკვაძე მარიამ		ტურიზმი	ბაკალავრიატი	100

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

№	ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის **სტუდენტის გვარი,**	**პირადი ნომერი**	**საგანმანთლებლო პროგრამა**	**უმაღლესი განათლების საფეხური**	**დარჩენილი ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**

	სახელი				
1.	კვიჭიძე ნათია		ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო	საბაკალავრო-სამაგისტრო	173
2.	დიასამიძე ლინდა		მათემატიკა	ბაკალავრიატი	84
3.	ბოლქვაძე თინათინ		მათემატიკა	ბაკალავრიატი	110

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

№	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **სტუდენტის გვარი, სახელი**	**პირადი ნომერი**	**საგანმანათლებლო პროგრამა**	**უმაღლესი განათლების საფეხური**	**დარჩენილი ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**
1.	ნიკა ბასილაძე		ეკონომიკა	ბაკალავრიატი	92

იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

№	იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის **სტუდენტის გვარი, სახელი**	**პირადი ნომერი**	**საგანმანათლებლო პროგრამა**	**უმაღლესი განათლების საფეხური**	**დარჩენილი ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**
1.	ლომსაძე გია		საერთაშორისო ურთიერთობები	ბაკალავრიატი	90
2.	სურმანიძე ლიზი		ფსიქოლოგია	ბაკალავრიატი	109

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

№	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის **სტუდენტის გვარი, სახელი**	**პირადი ნომერი**	**საგანმანათლებლო პროგრამა**	**უმაღლესი განათლების საფეხური**	**დარჩენილი ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**
1.	მემიშიში დავით		გეოგრაფია	ბაკალავრიატი	142

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

№	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **სტუდენტის გვარი, სახელი**	**პირადი ნომერი**	**საგანმანათლებლო პროგრამა**	**უმაღლესი განათლების საფეხური**	**დარჩენილი ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა**
1.	დემერჩოვა დიანა		ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	95
2.	ცეცხლაძე ლიკა		ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	92
3.	ჟღენტი ლია		ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	134
4.	კახაძე თამუნა		ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	139
5.	ჩახუნაშვილი ელენე		ინგლისური ფილოლოგია	ბაკალავრიატი	106
6.	ჩხაიძე ზური		ისტორია	ბაკალავრიატი	203
7.	ნაკაშიძე დიანა		ფილოსოფია	ბაკალავრიატი	77